ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №260633

ნომერი: AR163803

თარიღი : 04.07.2012

გაცემის თარიღი : 12.07.2012

გაცნობის თარიღი : 12.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

აღმაშენებლის ხეივნისა და ახმეტელის ქუჩის კვეთა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირაკლი ნიშნიანიძე პ/ნ 60001038181
- ქუთაისი ვ.კუპრაძის XV შეს. N 83 ბ. 2

ორგანიზაცია:
- GOLD კოდი: 494950166

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ბანკომატის განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

- აბრებისა და რეკლამების განთავსება

რეკონსტრუქცია

- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

<u>არსებულ შენობაზე პირველი კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.</u>

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ახმეტელისა და დავით აღმაშენებლის ხეივნის გადაკვეთა შპს "ბ.ბ.ი."-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #022/055) მდებარე არსებულ შენობაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს ”ბ.ბ.ი."-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.13.01.022.055, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012322029 10.07.2012წ., მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა რეგისტრაციის ნომერი #120712021 06.07.2012წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, ახმეტელისა და დავით აღმაშენებლის ხეივნის გადაკვეთა შპს "ბ.ბ.ი."-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #022/055) მდებარე არსებულ შენობაზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას რუხ ფერში, წარმოდგენილი #2 ფოტომონტაჟის ვარიანტის შესაბამისად.

ამასთანავე, თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

აქვე გაცნობებთ, რომ 2 (ორი) კვირის ვადაში წარმოსადგენია მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი #01.13.01.022.127) მესაკუთრის მოქ. ნათია თავართქილაძის მიერ გაცემული თანხმობა საკადასტრო მიჯნაზე ვიტრინებისა და ბანკომატების განთავსებია თაობაზე.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge